მე-4 კლასი

ტესტი შედგება 10 ძირითადი დავალებისგან და მისი ჯამური ქულაა 50. თითოეული დავალება 5-ქულიანია, ის მოიცავს პირობას და სამ სავარაუდო პასუხს, რომელთაგანაც მოსწავლემ მხოლოდ ერთი სწორი პასუხი უნდა შეარჩიოს. I-დან ფინალურ ტურში გადასასვლელად, მოსწავლემ უნდა დააგროვოს სულ მცირე 21 ქულა.

სავარჯიშოები შედგენილია რიცხვთა დათვლის, ბრტყელი ფიგურების, მარტივი არითმეტიკისა და რიცხვთა მიმდევრობის თემატიკებზე.

● რიცხვების შეკრება, გამოკლება და ფრჩხილების გახსნა

მოსწავლემ უნდა შეძლოს 100-ზე ნაკლებ ნატურალურ რიცხვებზე მარტივი მოქმედებების ჩატარება.

მაგალითი: ჩამოთვლილთაგან რომელია არასწორი?

A) 20+(3-2)=21 **B) 50-(2+3)=55** C) ორივე

● რიცხვთა მიმდევრობა

მოსწავლემ უნდა შეძლოს რიცხვების მარტივ მიმდევრობებში რიცხვების ცვლილების ამოცნობა და ამაზე დაყრდნობით, ამ მიმდევრობის რომელიმე წევრის პოვნა.

მაგალითი: დააკვირდი რიცხვების მიმდევრობას და გამოიცანი მომდევნო წევრი: 8; 12; 16; 20...

A) 24 B) 20 C) 16

● სივრცული და ბრტყელი ფიგურები



მოსწავლემ უნდა იცოდეს ბრტყელი ფიგურები, მათი ამოცნობა და ერთმანეთისაგან გარჩევა.

მაგალითი:

რამდენი ბრტყელი ფიგურაა გამოსახული ნახაზზე?

A) 1 **B) 2** C) არცერთი პასუხი არ არის სწორი

● **ამოცანების ამოხსნა რიცხვთა მოქმედებებით**

მოსწავლემ უნდა შეძლოს ამოცანების ამოხსნა რიცხვების სწორი მოქმედებების (მიმატება, გამოკლება, მარტივი გამრავლება და გაყოფა) შერჩევითა და გამოყენებით.

მაგალითი: თამარი 6 წლით უფროსია ინდირაზე, ინდირა 5 წლით უფროსია ლუკაზე. რამდენი წლითაა უფროსი თამარი ლუკაზე?

A) 6 B) 1 **C) 11**

ტესტის შემდეგ დამატებით მოცემულია **ბონუს სექცია,** რომელიც აერთიანებს 5 შეკითხვას, თითო 3 ქულიანს. ეს ნაწილი ჩვენი პარტნიორებისგანაა და საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ტესტში დაშვებული შეცდომები აანაზღაუროს დამატებითი ქულების საშუალებით.

დამატებით სამეცადინოდ შეგიძლიათ ნახოთ ოლიმპიადისათვის მოსამზადებელი ტესტები: https://kings.ge/student/login

მოსამზადებელ ტესტებს ოლიმპიადის I ტურის მსგავსი სტრუქტურა აქვს. I ტურის მსგავსად მოსწავლეს ეძლევა 1 საათი ტესტის საწერად და რაც მთავარია, აქვს შესაძლებლობა გადახედოს დაშვებულ შეცდომებს და ოლიმპიადის I ტურზე გაითვალისწინოს/უკეთ მოემზადოს კონკრეტულ საკითხში.